საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2154/01
26/02/2020

2154-01-2-202002261629

შპს „კავკას მეტალის“
დირექტორს ბატონ კონსტანტინე წირღვავას
მის: *ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N 14*

ბატონო კონსტანტინე,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 12 თებერვლის №2280 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილ N36-ში ლითონის ცხელი მოთუთიების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის ზოგადი და არ მოიცავს კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, სკოპინგის ანგარიში არ შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მათ შორის არ არის წარმოდგენილი:

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარეობს გაურკვეველი დანიშნულების ორსართულიანი შენობა (უკანონო მშენებლობა), რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 40 მ-ით. ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია თავისი შენობა-ნაგებობით რეგისტრირებულია 2018 წელს, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს არსებული შენობის ფუნქციური დანიშნულება;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის;

- წარმოდგენილი უნდა იყოს სრულყოფილი ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებისა და მათი მოსალოდნელი რაოდენობების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება მოხდება როგორც ტექნოლოგიურ პროცესში, ასევე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოო პროცესში გამოსაყენებელი წყლის რაოდენობისა და წყლის შესანახი რეზერვუარების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდის საჭიროების (მათ შორის შესაბამისი დანადგარის მოწყობის) საკითხი, რომლებიც ანგარიშის მიხედვით ჩაედინება საკანალიზაციო ქსელში;
- ინფორმაცია საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების და მათი მართვის შესახებ (მათ შორის, მათი დროებითი დასაწყობების პირობები);
- ადამიანთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების პრევენციის ღონისძიებები წარმოდგენილია ძირითადად საწარმოში მომუშავე პერსონალისთვის. სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ადამიანთა ჯანმრთელობასა და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
- საწარმოო ზონის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შეფასება;
- საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ანგარიშში განსაზღვრული უნდა იყოს შესაძლო ავარიული სიტუაციების ალბათობა;

გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- ანგარიშში აღნიშნულია, რომ თავდაპირველად მავთული ეშვება 50-60 °C ტემპერატურამდე გამთბარ 8-10% კონცენტრაციის სუსტი ფოსფორმჟავით ავსებულ აბაზანაში, სადაც ხდება მისი რეცხვა. ცხელი წყლით გარეცხილი და გამშრალი მავთული შედის წინასწარ 440-460°C გრადუსამდე გახურებულ ცხელი მოთუთიების ღუმელში. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია რის საფუძველზე ცხელდება აღნიშნული დანადგარები და წყალი (გამოსაყენებელი ენერგიის სახეობა და რაოდენობა);
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ფოსფორმჟავით ავსებული აბაზანის, თუთიის ნადნობით სავსე ავზის, მავთულის გამაგრილებელი წყლის ავზის მოცულობების შესახებ, ასევე მათი აღწერა და განთავსების პირობები;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია წარმოებაში გამოსაყენებელი ნედლეულის, მათ შორის ქიმიური პროდუქტების და მიღებული პროდუქციის დასაწყობების პირობების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიას დასავლეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება შპს „მონოლითის“ საწარმო. თუმცა, წარმოდგენილი საკადასტრო კოდის და სიტუაციური სქემის (გვ.6) ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ შპს „მონოლითის“ საწარმო განთავსებულია შპს „კავკას

მეტალის“ ტერიტორიაზე. შესაბამისად, განახლებულ სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იყოს აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ shp ფაილებით იდენტიფიცირებული ტერიტორიის ფართობი (2.57 ჰა) არ ემთხვევა საკადასტრო კოდით წარმოდგენილ ტერიტორიის ფართობს (2,25 ჰა), რაც (shp ფაილები) ასევე საჭიროებს კორექტირებას.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „კავკას მეტალი“ კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს განახლებული სკოპინგის დოკუმენტაციის წარმოდგენას, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე